ხელშეკრულება № 123

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(კონსოლიდირებული ტენდერი №**CON140000022**)

თვითმმართველი ქალაქ ფოთი 22 მაისი 2014 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

**ერთის მხრივ,** თვითმმართველი ქალაქ ფოთი (თვითმმართველი ერთეული) შემდგომში - „შემსყიდველი", წარმოდგენილი თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბაბილუას სახით, და **მეორეს მხრივ,** შპს „დეკორი" შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის, „2014 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N185 განკარგულებისა და „საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის N3 ბრძანების საფუძველზე, - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველი" თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, **კონსოლიდირებული ტენდერის (№CON140000022)** საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მოაწოდებს A4 - ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდ ქაღალდს (შემდეგში „საქონელი').

2. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის (1063 შეკვრა) საერთო ღირებულება შეადგენს **5835,87** (ხუთი ათას რვაას ოცდათხუთმეტი ლარი და 87 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით (იხ. დანართი 1,2,3,4).

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები - ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი) და ანგარიშფაქტურა.

4. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

## 5. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.
5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.
5.4 მიღება–ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის შედგენა უნდა განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციასთან შეთანხმებით იმის მიხედვით თუ, რომელი ორგანიზაციისთვის არის განკუთვნილი შესასყიდი ობიექტი თვითმმართველობის ბიუჯეტის მიხედვით.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
6.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.
7.2 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს საქონლის ხარისხის პერიოდული შემოწმება.
7.3 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს კონტროლის შედეგად აღმოჩენილი უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
7.4 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

## 8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი - მიმწოდებელთან და სამი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
8.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
8.3 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
8.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

## 9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ბაბილუა

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12
სს „ლიბერთი ბანკი" ფოთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE 40LB0120125805505002
ს/კ 215138143

„მიმწოდებელი"

შპს „დეკორი"
დირექტორი

დიმიტრი კვეკვესკირი

მის: ქ თბილისი, იურ. მის: არსენას ქუჩა N18,
ფაქტ. მის: ბელიაშვილის ქუჩა N63
სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE 84BG 0000 0002 1121 9902,
ს/კ № 203868635

დანართი 1

A4 - ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები)

| | საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | მწარმოებელი ქვეყანა | რაო დენობა | ერთე ულის ფასი | საერთო ღირებუ ლება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | A4 - ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდ ქაღალდი | ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი) | COPY POWER | 816 | 5,49 | 4479,84 |
| | | მწარმოებელი ქვეყანა | ინდოეთი | | | |
| | | გრამაჟი (გრ/მ²) | 80 | | | |
| | | სიკაშკაშე (%) | 88 | | | |
| | | გაუმჭირვალობა (%) | 95 | | | |
| | | სითეთრე (CIE Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით -%) | 152 | | | |
| | | შეკვრაში ფურცლების რაოდენობა | 500 | | | |
| | სულ ღირებულება | | | 816 | 5,49 | 4479,84 |

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ზაბილუა

„მიმწოდებელი"

შპს „დეკორი"
დირექტორი

დიმიტრი კვაჭესკირი

დამოწმებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის სამსახური უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ნანა გიგინეიშვილი

დანართი 2

A4 - ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულო

| საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | | მწარმოებელი ქვეყანა | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| A4 - ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდ ქაღალდი | ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი) | COPY POWER | | 200 | 5,49 | 1098 |
| | მწარმოებელი ქვეყანა | ინდოეთი | | | | |
| | გრამაჟი (გრ/მ²) | 80 | | | | |
| | სიკაშკაშე (%) | 88 | | | | |
| | გაუმჭირვალობა (%) | 95 | | | | |
| | სითეთრე (CIE Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით -%) | 152 | | | | |
| | შეკვრაში ფურცლების რაოდენობა | 500 | | | | |
| სულ ღირებულება | | | | 200 | 5,49 | 1098 |

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ბაბილუა

„მიმწოდებელი"

შპს „დეკორი"
დირექტორი

დიმიტრი კვეკვესკირი

დამოწმებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს აპარატის უფროსი

ლია არქიუხოვა

დანართი 3

A4 - ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სახანძრო - სამაშველო სამსახური

| საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | მწარმოებელი ქვეყანა | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| A4 - ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდ ქაღალდი | ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი) | COPY POWER | 8 | 5,49 | 43,92 |
| | მწარმოებელი ქვეყანა | ინდოეთი | | | |
| | გრამაჟი (გრ/მ²) | 80 | | | |
| | სიკაშკაშე (%) | 88 | | | |
| | გაუმჭირვალობა (%) | 95 | | | |
| | სითეთრე (CIE Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით -%) | 152 | | | |
| | შეკვრაში ფურცლების რაოდენობა | 500 | | | |
| სულ ღირებულება | | | 8 | 5,49 | 43,92 |

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ბაზილუა

„მიმწოდებელი"

შპს „დეკორი"
დირექტორი

დიმიტრი კვეკვესკირი

დამოწმებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
სახანძრო - სამაშველო სამსახურის უფროსი

თენგიზ ხაზალია

დანართი 4

A4 - ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა

თვითმმართველი ქალაქ ფოთის სამობილიზაციო წვევამდელთა
აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური

| საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| | | მწარმოებელი ქვეყანა | | | |
| A4 - ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდ ქაღალდი | ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი) | COPY POWER | 39 | 5,49 | 214,11 |
| | მწარმოებელი ქვეყანა | ინდოეთი | | | |
| | გრამაჟი (გრ/მ²) | 80 | | | |
| | სიკაშკაშე (%) | 88 | | | |
| | გაუმჭირვალობა (%) | 95 | | | |
| | სითეთრე (CIE Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით -%) | 152 | | | |
| | შეკვრაში ფურცლების რაოდენობა | 500 | | | |
| სულ ღირებულება | | | 39 | 5,49 | 214,11 |

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ბაბილუა

„მიმწოდებელი"

შპს „დეკორი"
დირექტორი

დიმიტრი კვეკვესკირი

დამოწმებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
სამობილიზაციო წვევამდელთა
აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ზვიად ხვიჩია